WEEKEND LLC - შპს WEEKEND
45 Mtskheta Street, 0179, Tbilisi, Georgia

20.05.2020 20 მაისი 2020

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს"
მინისტრის მოადგილეს: **ბატონ გიორგი წოწკოლაურს**
მის.: ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144.

მოგახსენებთ, რომ ჩვენს შორის 2020 წლის 06 აპრილს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N პ/2703031101/21, რომლის საფუძველზეც ჯანდაცვის სამინისტრო მომარაგებული უნდა იქნას - ,,ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვისათვის და covid 19-ის გავრცელების ხელშეშლისათვის საჭირო დეფიციტური პროდუქციით, პროდუქციის ჯამური ღირებულება - $ 1,329,680.00 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, პროდუქციის ჩამონათვალი - 2020 წლის 4 აპრილის N Covid 04042019 -1 ინვოისის შესაბამისად, რომელიც ასევე ასახულია ხელშეკრულების დანართში - ფასების ცხრილი.
აქვე მოგახსენებთ, რომ 06.05.2020 წლის მდგომარეობით, პროდუქციის უმეტესი ნაწილი (ჯამური ღირებულებით - 907 025 აშშ დოლარი), უკვე მოწოდებულია და გადაცემულია შემსყიდველისათვის უნაკლო მდგომარეობაში.
2020 წლის 07 მაისს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მოგმართეთ ოფიციალური განცხადებით და სათანადო ინფორმაციის მოწოდების საფუძველზე, შეგატყობინეთ ჩვენს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N პ/2703031101/21 ხელშეკრულებით გთვალისწინებული მიწოდების ვადის ავტომატურად გადაწევის თაობაზე - ,,ერთჯერადი სამედიცინო ტანსაცმელის (ანტი-სინთეთიკური სისხლისგან დაცვა; კატეგორია 2 გამოიყენება საავადმყოფოებში)" კომბინიზონების მოწოდების ნაწილში.
აღნიშნულთან დაკავშირებით, დამატებით გაცნობებთ, რომ 07.05.2020 წლის შეტყობინებაში დაფიქსირებული ჩვენგან დამუკიდებელი და ობიექტური მიზეზებით გამოწვეული პრობლემები, მომწოდებელ-მწარმოებელ ქვეყანაში, ამ ეტაპისათვის უკვე აღმოფხვრილია. თქვენთვის მოსაწოდებელი ,,ერთჯერადი სამედიცინო ტანსაცმელის" მახასიათებლები, დოკუმენტაცია, სერტიფიცირება ამჟამად სრულ შესაბამისობაშია ჩინეთის ექსპორტისა და სამედიცინო პროდუქციის ხარისხის კონტროლის შესახებ ახალ რეგულაციებთან და განთავსებულია აეროპორტში - საქართველოში სპეც. ავია რეისით გამოსამგზავრებლად.
საბოლოო ინფორმაციით, ტვირთის ავია ტრანსპორტირების დრო არის 24 მაისი. შესაბამისად, ჩვენს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N პ/2703031101/21 ხელშეკრულებით

გთვალისწინებული მიწოდების ვადა (აღნიშნული პროდუქციის ნაწილში) უნდა განისაზღროს არაუგვიანეს 2020 წლის 26 მაისისა.
აღნიშნული ცვლილება უშუალოდ გამომდინარეობს მხარეთა მიერ, ნების ავტონომიურობის პრინციპით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N პ/2703031101/21 ხელშეკრულების 2.3.1. მუხლის თანახმად:
2.3.1. „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდების საბოლოო ვადაა წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. მუხლით გათვალისწინებული თანხის სრულად ჩარიცხვიდან 13 სამუშაო დღე. მიწოდების საბოლოო ვადა შეიძლება შეიცვალოს (გაიზარდოს) მხოლოდ მომწოდებელ/გამომგზავნ/წარმოების ქვეყანაში ან საქართველოს ტერიტორიაზე დაწესებული საგანგებო რეჟიმის/გამკაცრებული რეჟიმის ან სხვა რეგულაციების გამო, რომლის შესახებაც წინასწარ ეცნობება შემსყიდველს წერილობით (შესაბამისი მტკიცებულებით), რაც წარმოადგენს მიწოდების ვადის ავტომატურად გადაწევის საფუძველს.“
სამედიცინო კომბინიზონების მიწოდების ნაწილში ვადის გადაწევა, ასევე სრულად გამომდინარეობს ხელშეკრულების მე-5 და მე-7 მუხლებით. მომწოდებელ/მწარმოებელ ქვეყანაში არსებული სიტუაციისა და ყველა იმ პრობლემის შესახებ, რამაც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით გამოიწვია მიწოდების ვადის გადაწევის აუცილებლობა, თქვენთვის ცნობილი გახდა ჩინეთში ახალი რეგულაციების მიღებისთანავე. აღნიშნული, დამატებით გაცნობეთ წერილობით 07.05.2020 წელს და ამჟამად, კიდევ დამატებით, წერილობით ვაზუსტებთ პროდუქციის მოწოდების ვადას და ასევე მტკიცებულებების სახით წარმოგიდგენთ:

1. **სამედიცინო კომბინიზონების მწარმოებელი კომპანიის „Dean & Pattisen International Menswear (HZ)“ LTD - ოფიციალურ ახსნა-განმარტებას.**
2. **ჩვენს შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი პროდუქციის განბაჟებასა და საქართველოს ტერიტორიაზე გამოგზავნისათვის საჭირო ყველა პორცედურის განმახორციელებელი ლოჯისტიკური კომპანიის - GUANGZHOU ACTION AIR LOGISTICS LIMITED -ის ოფიციალურ ახსნა-განმარტებას.**
3. **CTS International Logistics Corporation Limited, Xi'an Branch -ის ოფიციალურ დასტურს, რომ დღევანდელი მონაცემებით, პროდუქცია - 30 000 ერთეული სამედიცინო კომბინიზონი კატეგორია 2, სრულ შესაბამისობაშია ჩინეთის სახელმწიფოს მიერ 23 აპრილის შემდეგ მიღებულ ახალ რეგულაციებთან; რომ სამედიცინო კომბინიზონები აკმაყოფილებს უფრო მაღალი კატეგორიის A სამედიცინო სერთიფიკატის მოთხოვნებს და მას უკვე მიღებული აქვს აღნიშნული უმაღლესი ხარისხის სერთიფიკატი, განთავსებულია აეროპორტის ტერიტორიაზე ყველა წესის, შეფუთვისა და მარკირებისათვის მოთხოვნილი ახალი რეგულაციებისა და სტანდარტების დაცვით და მოლოდინის რეჟიმშია სპეციალური ავია რეისით საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსაზიდად.**

გვინდა კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ, რომ მწარმოებელ/გამომგზავნ ქვეყანაში ცვალებადი რეგულაციები და ზოგადად კოვიდ 19-ის გამო მსოფლიოში შექმნილი რთული ვითარება, ძალიან უარყოფითად აისახება ყველა საქმიანობაზე, ართულებს ყველა პროცესს და მოითხოვს თითოეული ჩვენთაგანისაგან კოლოსალურ რესურსს (ადამიანურს, ფინანსურს, სამართლებრივს) და

შესაბამისად, მეტ თანადგომას და მხარდაჭერას. როგორც წინა შეტყობინებითაც მოგახსენეთ, მოცემულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, შემსყიდველიცა და მიმწოდებელიც გახლავთ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტები და შესაბამისად, ამ სახელშეკრულებო ურთიერთობაზე ვრცელდება როგორც თავად მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, ასევე სამოქალაქო სამართალში აღიარებული და დამკვიდრებული სავალდებულო პრინციპები: მხარეთა კეთილსინდისიერების, გულისხმიერი პარტნიორობისა და ვალდებულებათა შესრულების მიზნით ხელშემკვრელი მხარეების მიერ გასაწევი აუცილებელი ხელშწყობის მიმართებით.

ასევე მოგახსენებთ, რომ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის #181-ე დადგენილების - მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მტკიცებულებებს წარმოგიდგენთ ინგლისურ ენაზე.
დამატებითი მოთხოვნის შემთხვევაში მზად ვართ წარმოვადგინოთ თარგმანი, შესრულებული უფლებამოსილი თარჯიმნის მიერ.

დანართი:
მწარმოებელი და ლოჯისტიკური/გამომგზავნი კომპანიების ახსნა-განმარტებები და განცხადებები - მწარმოებელ/გამომგზვან ქვეყანაში მიღებული ახალი რეგულაციებისა და თანამდევი ხელისშემშლელი გარემოებების შესახებ - 3 დოკუმენტად, თითოეული 1 ფურცლად.

პატივისცემით,
დირექტორი: ბონდო გოლეთიანი



20.05.2020 წელი